

"გვჭირდება ეკონომიკური მოდელი, სადაც განათლებას ექნება დომინანტი პოზიცია"

✘ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიზნისის ბოტანიკურ ბაღში ახარგაზრდებს შეხვდა. მამუკა ბახტაძემ წრევანდელ კურსდამთავრებულებს ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპის დასრულება მიულოცა და მათ მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

„სიღარიბის დამარცხება, არის ძალიან მნიშვნელოვანი და ამას აუცილებლად გავაკეთებთ, მაგრამ ერთი რამ უნდა გვესმოდეს. თუ ჩვენ გვინდა განვითარებული ეკონომიკა გვექონდეს, როგორსაც ჩვენ ვხედავთ ევროპის ბევრ ქვეყანაში, ამისთვის გვჭირდება პრინციპულად განსხვავებული ეკონომიკური მოდელი. მოდელი, სადაც თქვენი კონტრიბუცია იქნება წამყვანი და სადაც განათლებას ექნება დომინანტი პოზიცია, სადაც ყველა ახარგაზრდა შეძლებს თავის თავის რეალიზაციას ჩვენივე სამშობლოში, საქართველოში. თუ ჩვენ შევძლებთ და მოვახერხებთ იმას, რომ, დაახლოებით, ორნიშნა ციფრი იყოს ჩვენს ეკონომიკაში განათლების სექტორი, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10%, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შემდეგი გრძელვადიანი პერსპექტივის, ათეული წლების განმავლობაში აუცილებლად შევართ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების სიაში,“ – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მთავრობის მეთაურმა ყურადღება განათლების სისტემის რეფორმაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ საქართველოში თითოეულმა ახარგაზრდამ უნდა შეძლოს საკუთარი პოტენციალის რეალიზება.

„მე ძალიან მიხარია, როდესაც მესმის ბევრი წარმატებული ახარგაზრდის საქმიანობის შესახებ საზღვარგარეთ, მაგრამ ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, იმისთვის, რომ ასეთი შესაძლებლობები შევქმნათ საქართველოში. იმისთვის, რომ არ მოგვიწიოს წასვლა საკუთარი თავის თვითრეალიზაციისა და პოტენციალის რეალიზაციისა საზღვარგარეთ,“ - მიმართა პრემიერმა ახარგაზრდობას.

მამუკა ბახტაძის ახადგამრდებთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, სადაც შეხვედრის მონაწიდეებს საშუადება ჰქონდათ პრემიერისთვის კითხვები დაესვათ და საკუთარ ინიციატივებზე ესაუბრათ.